ვამტკიცებ:

გენერალური დირექტორი
შპს «ბათუმის ნავთობტერმმინალი»
ფარხატ ტაშიბაევ

«9» 09 2025 წ.

Утверждаю

Генеральный директор
ООО «Батумский нефтяной терминал»
Фархат Ташибаев

«9» 09 2025 г.

# ტექნიკური დავალება

# Техническое задание

სპეციალური ტანსაცმლისა შესყიდვასა და მოწოდებაზე

**На закупку и поставку Специальной Одежды**

დამკვეთი:
შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი"

**Заказчик:**
**ООО «Батумский нефтяной терминал»**

სამუშაოების მახასიათებლები:
სპეც. ტანსაცმლისა შესყიდვა და მოწოდება

**Характеристика работ:**
Закупка и поставка Спец. Одежды

საფუძველი:
2025 წლის საბიუჯეტო გეგმა

**Обоснование:**
Бюджетный план на 2025 г.

ქ. ბათუმი, 2025 წ.

Батуми, 2025

სპეციალური ტანსაცმლის შესყიდვასა და მოწოდებაზე

На закупку и поставку Специальной Одежды

1. სამუშაოების ჩატარების მიზანი

1.1. პერსონალის უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით;

1. Цель проведения работ

1.1. Обеспечение персонала Специальной одеждой;

2. სამუშაოების მოცულობა

2.1. მენარდე სპეციალური ტანსაცმლის შესყიდვასა და მოწოდებაზე ხელმძღვანელობს **დანართ № 1** - ში გაწერილი შესასყიდი და მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობის ამსახველი ცხრილის თანახმად.

2. Объем работ

2.1. Подрядчик на закупку и поставку специальной одежды руководствуется таблицей, показывающей количество закупаемых и поставляемых товаров, приведенной в **Приложении № 1.**

3. სამუშაოების ჩატარების დასაგეგმი დრო

3.1. სპეციალური ტანსაცმლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში.

3. Планируемое время проведения работ

3.1. Обеспечение поставки Специальной Одежды должно осуществится не позднее 15 дней с момента подписания договора.

4. ძირითადი მოთხოვნები

4.1 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი), უნდა აკმაყოფილებდეს დამამზადებლის მიერ გათვალისწინებულ ფუნქციალურობას. საქონელს არ უნდა აღენიშნებოდეს დაზიანებები და ცვლილებები. საქონელს უნდა ქონდეს შესაბამისი მარკირება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 06 თებერვალს დამტკიცებული № 82 დადგენილების, „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ასევე სხვა მიღებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

4.2 საქონლის ხარისხს უნდა ადასტურებდეს ხარისხის სერტიფიკატი (ხარისხის პასპორტი), დეკლარაცია/შესაბამისობის სერტიფიკატი (იმპორტირებული საქონლის მაკომპლექტე-ბლების სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი).

4. Основные требования

4.1 Поставляемые Товары должны быть новыми (не бывшим в эксплуатации), обеспечивать предусмотренную изготовителем функциональность. На Товаре не должно быть следов повреждений и изменений. Товар должен иметь необходимые маркировки, наклейки в соответствии с Техническим регламентом «О средствах индивидуальной защиты», утвержденного Постановлением Правительства Грузии № 82 от 06 февраля 2020 года, а также других применимых международных стандартов.

4.2. Качество Товара должно удостоверяться сертификатом качества (паспортом качества), декларацией / сертификатом соответствия (сертификатом соответствия стандартам на комплектующие к товару импортируемого производства).

5. აუცილებელი მოთხოვნები

5. Обязательные требования:

**5.1** მენარდემ მოთხოვნილი საქონლის - სპეციალური ტანსაცმლის - შესყიდვა და მოწოდება უნდა მოახდინოს შესასყიდი საქონლის მიმართ ტექნიკური დავალების **დანართი № 2** - ში გაწერილი ტექნიკური მახასიათებლებისა და შესაბამისობის სტანდარტების თანახმად.

**5.2.** მენარდემ უნდა გაითვალისწინოს და დროულად უნდა უზრუნველყოს მოწოდებული უხარისხო საქონლის უკან დაბრუნება მისი სასწრაფო შეცვლით.

**5.3.** მენარდე ვალდებულია სატენდერო კომისიას წარმოუდგინოს ყველა მოსაწოდებელი საქონლის თითო ნიმუში, რომლებიც სატენდერო კომისიის მდივანს რეგისტრაციისთვის უნდა წარედგინოს გახსნის თარიღამდე. აღნიშნული ნიმუშების წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც როცა მენარდე თვითონ კერავს სპეციალურ ტანსაცმელს, (ანდა უკვეთავს შესაბამისი საწარმოს).

**5.4.** მენარდემ სპეციალურ ტანსაცმელზე უნდა დაიტანოს შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალი’’-ს ლოგოტიპი **დანართი № 3 -ის შესაბამისად.**

**5.7.** მენარდემ უნდა იხელმძღვანელოს **დანართ №4** -ში წარმოდგენილი ზომების მიხედვით.

**5.9.** არასტანდარტული ზომების გამოვლენის შემთხვევაში მენარდემ უნდა იხელმძღვანელოს ინდივიდუალური მიდგომით და გადააკეთოს სპეციალური ტანსაცმელი კონკრეტული პირის ფიზიკურ მახასიათებლებზე მორგების მიზნით.

## 6. საქონლის მიღება

**6.1.** საქონლის მიღება ხდება შპს ;„ბათუმის ნავთობტერმინალის“ ტერიტორიაზე მის.: საქართველო, ქ. ბათუმი, წმინდა სევერიან აჭარელის ქ. № 4გ. (დამკვეთის ცენტრალური საწყობი), საქონლის მიწოდების დღეს შემომავალი საკონტროლო აქტის გაფორმებით.

**6.2.** საქონლის მიღების დროს გამოვლენილ შეუსაბამობებს, ნაკლოვანებებს და დეფექტების აღმოფხვრას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, „შპს ბათუმის ნავთობტერმინალის“ მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

**5.1.** Подрядчик закупку и поставку запрашиваемого товара - Специальной Одежды - должен осуществлять в соответствии с техническими условиями и стандартами соответствия, указанным в **Приложении № 2** - к техническому заданию.

**5.2.** Подрядчик обязан предусмотреть и своевременно обеспечить возврат поставленного товара ненадлежащего качества с его скорейшей заменой.

**5.3.** Подрядчик обязан предоставить по 1-му образцу на каждый поставляемый Товар на тендерную комиссию, которые должны быть предоставлены до даты вскрытия секретарю тендерной комиссии для регистрации. Предоставление данных образцов также обязательно в случае, когда Подрядчик самостоятельно занимается пошивом специальной одежды (или заказывает соответствующему предприятию).

**5.4.** Подрядчик **на** Специальной Одежде должен нанести логотип Терминала в соответствии с **Приложением № 3.**

**5.7.** Подрядчик должен руководствоваться размерами, предоставленными заказчиком в **Приложение № 4.**

**5.9.** В случае обнаружения нестандартных размеров подрядчик должен руководствоваться индивидуальным подходом и переделать (пошить) специальную одежду с учетом физических особенностей конкретного человека.

## 6. Приёмка Товара

**6.1.** Приёмка товара осуществляется на территории ООО «Батумский нефтяной терминал» по адресу: Грузия, г. Батуми, ул. Святого Северяна Аджарели №4г., (центральный склад заказчика), с составлением акта входного контроля.

**6.2.** Поставщик за свой счет обеспечивает устранение несоответствий, недостач и дефектов, выявленных во время приемки товара в течении 20 (двадцать) календарных дней без дополнительных расходов со стороны ООО «Батумский нефтяной терминал».

7. მოთხოვნები სამუშაო გამოცდილების მიმართ

პოტენციურ მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს მსგავსი საქონლის შესყიდვების ბაზარზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება (ყოველი წლისთვის სულ მცირე ერთი დადასტურება) ბოლო 5 წლის განმავლობაში, რაც დასტურდება შესაბამისი ინვოისებით ან საქონლის მიწოდების დამადასტურებელი აქტებით (მოწოდებული ტექნიკური სპეციფიკაციების ნაწილად).

**7. Требования по опыту работы**

Наличие у потенциального поставщика опыта работы на рынке аналогичных закупаемых товаров за 3 года (не менее одного подтверждения по каждому году) в течение последних 5 лет подтвержденного соответствующими накладными или актами, подтверждающими поставку товара (предоставить в составе технической спецификации).

**შენიშვნა:** დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“ მისამართზე: საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, სევერიანე აჭარელის #4.

**Примечание:** для дополнительной информации обращаться в ООО «Батумский нефтяной терминал» по адресу: Ул. Северяне Аджарели №4, г. Батуми, Аджарской АР, Грузия.

***Составил:***

| Начальник отдела безопастности труда, охраны здоровья и окружающей среды | /............................/ | Кахабер Гучманидзе |
|---|---|---|
| *Должность* | *Подпись* | *Имя, фамилия* |

დანართი № 1 / **Приложение № 1**

| დასახელება<br>**наименовние** | ზომის ერთეული<br>**Ед. Измерения** | რაოდენობა<br>**Количество** |
|---|---|---|
| **ლოტი №1 / Лот №1** | | |
| **1. ზამთრის სპეციალური ტანსაცმელი საწარმოო პერსონალისთვის (მუშა)**<br>**1. Зимняя специальная одежда для производственного персонала (Рабочий)** | **კომპ. компл.** | |
| (1) ქურთუკ-პიჯაკი / Куртка-пиджак | **ცალი. шт** | **520** |
| (2) ქურთუკი / Куртка | **ცალი. шт** | **520** |
| (3) კომბინიზონი / Комбинезон | **ცალი. шт** | **520** |
| (4) გრძელმკლავიანი მაისური / Майка с длинными рукавами; | **ცალი. шт** | **520** |
| **ლოტი № 2 / Лот №2** | | |
| **2. ზამთრის სპეციალური ტანსაცმელი სახ. ორგანოების, აუდიტის და სხვ. წარმომადგენლებისთვის / რეზერვი ადმინისტრაციული და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისთვის**<br>**2. Зимняя специальная одежда для предст. Госорганов, Аудит и т. п. / резерв для административного и инжинерно-технического персонала** | **კომპ. компл.** | |
| (1) ქურთუკ-პიჯაკი / Куртка-пиджак | **ცალი. шт** | **50** |
| (2) ქურთუკი / Куртка | **ცალი. шт** | **50** |
| (3) შარვალი / Брюки | **ცალი. шт** | **50** |
| (4) გრძელმკლავიანი მაისური / Майка с длинными рукавами; | **ცალი. шт** | **50** |
| **ლოტი № 3 / Лот № 3** | | |
| **3. სპეც. ტანსაცმელი ლაბორატებისა და მედ. პერსონალისთვის**<br>**3. Спецодежда лаборантов и мед. персонала** | **კომპ. компл.** | |
| (1) ხალათი / халат | **ცალი. шт** | **28** |
| (2) შარვალი / Брюки | **ცალი. шт** | **28** |
| (3) მაისური / футболка | **ცალი. шт** | **28** |
| **ლოტი № 4 / Лот № 4** | | |
| **4. ხალათი დამლაგებლებისთვის**<br>**4. Халат для уборщиков** | **ცალი. Шт** | **7** |

# დანართი № 2 / Приложение № 2

1. **ზამთრის სპეციალური ტანსაცმელი საწარმოო პერსონალისთვის (მუშა)**
**Зимняя специальная одежда для производственного персонала (Рабочий)**
**EN ISO 13688, ГОСТ 12.4.016-83**

ზამთრის სპეციალური ტანსაცმლის ნაკრები უნდა შედგებოდეს 4 (ოთხი) ელემენტისგან:

(1) ქურთუკ-პიჯაკი; (ფერი: მუქი ლურჯი) (2) დათბუნებული ქურთუკი; (ძირითადი ფერი: მუქი ლურჯი, დამატებითი ფერი ჯიბეებთან: ღია ლურჯი) (3) კომბინიზონი; (ფერი: მუქი ლურჯი) (4) გრძელმკლავიანი მაისური; (ფერი: რუხი)

Комплект зимней специальной одежды для производственного персонала (Рабочий) должен состоять из 4 (четырёх) изделий:

(1) Куртка-пиджак; (Цвет: Темно-синий) (2) Утепленная куртка (основной Цвет: Темно-синий, Дополнительный цвет к карманам: светло-голубой) (3) Комбинезон; (Цвет: Темно-синий) (4) Майка с длинными рукавами; (Цвет:Серый)

**ქურთუკ - პიჯაკი** - არაუმცირეს 60 % ბამბა, სიმკვრივე - 225 +- 10 გრ/მ², ანტისტატიკური ქსოვილი (ზეთის, წყლის და ნავთობის არიდების ეფექტით). ერთბორტიანი, საყელოთი, იკვრება დაფარული(შიდა) პლასტმასის ელვით. მკერდის და ბეჭების გასწვრივ და მკლავის ქვედა მხარეს დაკერილია 50 მმ-იანი შუქამრეკლავი ლენტი, პიჯაკის ზედა და ქვედა ნაწილებში ორ-ორი ჯიბეა დაკერებული, რომლებიც იკვრება ე.წ. ფხრიწით,ზედა მარცხენა ჯიბეზე კომპანიის ლოგოა ამოქარგული (8x8სმ). სახელოებზე დაკერებულია ლენტი, რომელიც მანჟეტის ფუნქციას ასრულებს და იკვრება - ან ფოლაქებით ანდა ფხრიწით.

**Куртка-пиджак** - Не менее 60% хлопка, плотность - 225 +- 10 г/м², ткань антистатичная (с масло-,водо-, бензоотталкивающим эффектом). Однобортный, с воротником, застегивается на скрытую (внутреннюю) пластиковую молнию. Вдоль груди и задней стороны плеча, а также по нижней стороне рукава пришита светоотражающая лента шириной 50 мм. В верхнюю и нижнюю части куртки-пиджака вшиты два кармана, которые застегиваются на липучках, логотип компании (8x8 см) вышит на верхнем левом кармане. На рукавах пришита лента, которая выполняет функцию манжета и застегивается либо на пуговицы, либо на липучках.

**დათბუნებული ქურთუკი** - არაუმცირეს 50 % ბამბა, ანტისტატიკური ქსოვილი - ზეთის, წყლის და ნავთობის არიდების ეფექტით, ქსოვილი უნდა იყოს მტკიცე, სამრეწველო პირობებში გამოყენებისთვის. ნაჭერმა უნდა გაუძლოს მრავალჯერ რეცხვას 30°C ტემპერატურაზე, სიმკვრივე 220 +_ 10 გრ/მ², დათბილული სინთეპონით 100 გრ/მ². ქურთუკი იკვრება დაფარული (შიდა) პლასტმასის ელვით. მკერდის და ბეჭების გასწვრივ და მკლავის ქვედა მხარეს დაკერილია 50 მმ-იანი შუქამრეკლავი ლენტი. ქურთუკის ზედა ნაწილში ორი ჯიბეა დაკერებული (15x17), რომლებიც იკვრება ე.წ. ფხრიწით, მარცხენა ჯიბეზე სპეციალური ძაფით კომპანიის ლოგოა ამოქარგული (8x8სმ), მარჯვენა ჯიბე წარმოდგენილია გამჭირვალე ჩანართით პირადობის ან სხვა დოკუმენტის ჩასადებათ. ქვედა ნაწილშიც 2 ჯიბეა დაკერებული, შედარებით უფრო ფართო (18x21), რომლებიც ასევე იკვრება ე.წ. ფხრიწით. ყველა ჯიბეზე არის ღია ლურჯი ფერის ჩანართები, სახელოებზე დაკერებულია ლენტი, რომელიც მანჟეტის ფუნქციას ასრულებს და იკვრება - ან ფოლაქებით ანდა ფხრიწით, დასაშვებია შიდა მანჟეტიც. ქურთუკს უნდა გააჩნდეს საყელოში ჩატანებული მოხსნადი კაპიუშონი, დამაგრებული ელვით

**Куртка утепленная** - Не менее 50% хлопка, ткань антистатичная, с масло-,водо-, бензоотталкивающим эффектом, пригодной для использования в промышленных условиях. Изделие должно выдерживать многократные стирки при температуре 30°C., плотность 220 ± 10 г/м², утеплён синтепоном плотностью 100 г/м². Куртка застегивается на скрытую (внутреннюю) пластиковую молнию. Вдоль груди и задней стороны плеча, а также по нижней стороне рукава пришита светоотражающая лента шириной 50 мм. В верхнюю част куртки вшиты два кармана (15x17), которые застегиваются на липучках, на левом кармане специальной нитью вышит логотип компании (8x8см), правый карман оснащен прозрачной вставкой для удостоверения личности или другого документа. В нижней части также имеются 2 вшитых кармана, относительно более широких (18x21), которые также застегиваются на так называемый липучках. На всех карманах имеются светло-голубые вставки, на рукавах пришита лента, которая выполняет функцию манжета и застегивается либо на пуговицы, либо на липучках, также допускается внутренний манжет. Куртка должна иметь съемный капюшон, заправленный в воротник и застегивающийся на молнию;

კომბინიზონი - არაუმცირეს 60 % ბამბა, სიმკვრივე - 225 +- 10 გრ/მ², ანტისტატიკური ქსოვილი (ზეთის, წყლის და ნავთობის არიდების ეფექტით), რეგულირებადი თასმებით, რომელიც იკვრება 3 სმ-იანი პლასტმასის სამაგრებით, აქვს წინა ჯიბე სარქველით, რომელზეც ამოქარგულია კომპანიის ლოგო (8x8სმ) და იკვრება ფხრიწით, კომბინიზონს წინა მხარეს წელის მიდამოში აქვს ჯიბეები დახრილი ჭრილით, ხოლო უკანა მარცხენა მხარეს ჰორიზონტალური ჯიბე. მუხლის დონიდან ქვემოთ, შარვლის წინა და უკანა მხარეს, 50 მმ-იანი სიგანის შუქამრეკლი ლენტია დაკერებული, კომბინიზონს წინა მხარეს აქვს ჭრილი, რომელიც იკვრება ელვით. წელის გასწვრივ კომბინიზონის უკანა მხარეს ჩაკერილია 3 სმ-იანი რეზინის ელასტიური ზოლი, კომბინიზონი გვერდებზე იკვრება 2 ღილით. შარვლის ტოტები 2-3 სმ-ით სიმეტრიულად უნდა წვრილდებოდეს კოჭისკენ.

**Комбинезон** - Не менее 60% хлопка, плотность - 225 +- 10 г/м², ткань антистатичная (с масло-, водо-, бензоотталкивающим эффектом), имеет регулируемые бретели, застегивающиеся на пластиковые застежки шириной 3 см, передний карман с клапаном, вышитым логотипом компании (8x8 см) и застегиваются на липучках. Комбинезон имеет наклонные карманы на талии спереди и горизонтальный карман на левой стороне сзади. Ниже колена, на передней и задней части брюк пришита светоотражающая лента шириной 50 мм, комбинезон имеет разрез спереди, застегивающийся на молнию. По линии талии сзади пришита резинка шириной 3 см, комбинезон застегивается по бокам на 2 пуговицы. Низ брюк должен симметрично сужаться на 2–3 см по направлению к щиколотке.

გრძელმკლავიანი მაისური - 100 % ბამბა (პენია).სიმკვრივე 190+-10 გრ/მ², სწორი მოჭრილი მაისური, გრძელი სახელოები ელასტიური მანჟეტებით (4-5სმ), ელასტიური გადაკეცილი საყელო POLO, სამი ღილი. ზედა მარცხენა მხარეს კომპანიის ლოგოა ამოქარგული(8x8სმ). (სპეც. ტანსაცმლის ერთ კომპლექტში შედის 2 მაისური).

**Майка с длинными рукавами** – 100% хлопок (пения). Плотность 190+-10 г/м². Футболка прямого силуэта, рукава длинные с эластичными манжетами (4-5 см), эластичный отложной воротник POLO, три пуговицы. Логотип компании (8x8 см) вышит в левом верхнем углу. <u>(В один комплект спецодежды входят 2 единицы футболки).</u>

2. ზამთრის სპეციალური ტანსაცმელი სახ. ორგანოების, აუდიტის და სხვ. წარმომადგენლებისთვის / რეზერვი ადმინისტრაციული და ინჟინერ-ტექნიკური

პერსონალისთვის
**Зимняя специальная одежда для предст. Госорганов, Аудит и т. п. / резерв для административного и инженерно-технического персонала**

ზამთრის სპეციალური ტანსაცმლის ნაკრები უნდა შედგებოდეს 4 (ოთხი) ელემენტისგან:

(1) ქურთუკ-პიჯაკი; (ფერი: მუქი ლურჯი) (2) დათბუნებული ქურთუკი; (ძირითადი ფერი: მუქი ლურჯი, დამატებითი ფერი ჯიბეებთან: ღია ლურჯი) (3) შარვალი; (ფერი: მუქი ლურჯი) (4) გრძელმკლავიანი მაისური; (ფერი: რუხი)

Комплект зимней специальной одежды для производственного персонала (Рабочий) должен состоять из 4 (четырёх) изделий:

(1) Куртка-пиджак; (Цвет: Темно-синий) (2) Утепленная куртка (основной Цвет: Темно-синий, Дополнительный цвет к карманам: светло-голубой) (3) Брюки; (Цвет: Темно-синий) (4) Майка с длинными рукавами; (Цвет:Серый)

**შარვალი** - არაუმცირეს 60 % ბამბა, სიმკვრივე - 225 +- 10 გრ/მ², ანტისტატიკური ქსოვილი (ზეთის, წყლის და ნავთობის არიდების ეფექტით),შარვალს წინა მხარეს წელის მიდამოში აქვს ჯიბეები დახრილი ჭრილით, ხოლო უკანა მარცხენა მხარეს ჰორიზონტალური ჯიბე. მუხლის დონიდან ქვემოთ, შარვლის წინა და უკანა მხარეს, 50 - მმ სიგანის შუქამრეკლი ლენტია დაკერებული. შარვალს წინა მხარეს აქვს ჭრილი, რომელიც იკვრება ელვით და ფოლაქით. შარვალს აქვს საქამრე მარყუჟი. შარვლის ტოტები 2-3 სმ-ით სიმეტრიულად უნდა წვრილდებოდეს კოჭისკენ.
**Брюки** - Не менее 60% хлопка, плотность - 225 +- 10 г/м², ткань антистатичная (с масло-, водо-,бензоотталкивающим эффектом). Брюки имеют наклонные карманы на талии спереди и горизонтальный карман на левой стороне сзади. Ниже колена, на передней и задней части брюк пришита светоотражающая лента шириной 50 мм. Брюки имеют разрез спереди, застегивающийся на молнию и на пуговицу. На брюках имеется шлевка для ремня. Низ брюк должен симметрично сужаться на 2–3 см по направлению к щиколотке.

შენიშვნა : *ქურთუკ-პიჯაკი, მაისური და დათბილული ქურთუკი ამ პოზიციისთვისაც იდენტურია, გთხოვთ იხილოთ წინამდებარე ტექნიკური დავალების დანართი 2-ის 1 - ლი პუნქტი.*
**Примечание:** *куртка, рубашка и утепленная куртка для этой позиции идентичны, см. Пункт 1 Приложения 2 настоящего технического задания.*

*სურათი 1: ზამთრის სპეციალური ტანსაცმლის ნაკრები*
***Рисунок 1:*** *Комплект зимней специальной одежды*







**3. სპეც. ტანსაცმელი ლაბორატებისა და მედ. პერსონალისთვის**
**Спецодежда лаборантов и мед. Персонала**

**EN ISO 13688, ГОСТ Р 12.4.132, ГОСТ Р 12.4.131**

სპეციალური ტანსაცმლის ნაკრები ლაბორანტებისა და მედ.პერსონალისთვის უნდა შედგებოდეს 3 (სამი) ელემენტისგან: (1) ხალათი; (ფერი: თეთრი) (2) შარვალი (ფერი: თეთრი) (3) მაისური (ფერი: თეთრი)
Комплект Спецодежди лаборантов и мед. Персонала должен состоять из 3 (триох) изделий: (1) Халат; (Цвет: белый) (2) Брюки (Цвет: белый) (3) Футболка; (Цвет: белый)

ქსოვილის შემადგენლობა: ბამბა არანაკლებ 80%, ფერი: თეთრი
Состав ткани: хлопок не менше 80%, цвет: белый.

**ხალათი** - გრძელი სახელოები, ღილებიანი მანჟეტები, ჯიბეები: 2 - გვერდითა, 1 - მკერდზე. კომპანიის ლოგოტიპი ზედა მარცხენა მხარეს.
**შარვალი** - ელასტიური წელის ზოლი თასმებით, დაფარული ელვაშესაკრავი. ქსოვილის
**მაისური** - სწორი სილუეტი, მოკლე სახელოები, ელასტიური მრგვალი დეკოლტე.

**Халат -** длинные рукава, манжеты на пуговице, карманы: 2 - боковых, 1- нагрудный. Логотип компании в верхнем левом углу.
**Брюки -** имеют эластичный пояс с завязками, скрытая молния.
**Футболка -** прямого силуэта, короткие рукава, эластичный воротник круглого выреза.



4. ხალათი დამლაგებლებისთვის
**Халат для уборщиков**
**ГОСТ Р 12.4.132 , ГОСТ Р 12.4.131**

ხალათი - გრძელი სახელოები, ცენტრალური ან გვერდითი შესაკრავით ღილებზე, გადასაკეცი საყელოთი, ორი გარე გვერდითი ჯიბით, ჩასმული სახელოებით, ღილებზე შესაკრავი მანჟეტებით, ზურგზე წელის ხაზის გასწვრივ თასმით. ბამბა (არანაკლებ 80%). ფერი: მუქი ლურჯი. კომპანიის ლოგოტიპი ზედა მარცხენა მხარეს.

**Халат** — длинные рукава, с центральной или смещенной бортовой застежкой на пуговицы, отложным воротником, двумя внешними накладными боковыми карманами, втачными рукавами, с манжетами, застегивающимися на пуговицы. Спинка с хлястиком по линии талии. Хлопчатобумажный (Не менше 80%) цвет: тёмно- синий. Логотип компании в верхнем левом углу.



ყველა სახის სპეციალური ტანსაცმელი უნდა იყოს ინდივიდუალურად შეფუთული გამჭვირვალე პოლიეთილენის პაკეტებში, ტანსაცმელი უნდა იყოს შესაბამისი მარკირებით (ზომა, შემადგენლობა და სხვა მახასიათებლები). შეფუთული ერთეულები უნდა მოთავსდეს მუყაოს ყუთებში დალაგებული ზომების მიხედვით. ყუთზე სავალდებულოდ უნდა აღინიშნოს შეფუთული ერთეულის რაოდენობა, ზომა და მოდელის დასახელება.

**Все виды специальной одежды должны быть индивидуально упакованы в прозрачные полиэтиленовые пакеты, Одежда должна иметь соответствующую маркировку (размер, состав и другие характеристики). Упакованные единицы должны быть уложены в картонные коробки, рассортированные по размерам. На коробках должны быть промаркированы количество упакованных единиц, размер и наименование модели**

Batumi Oil Terminal
SINCE 1883

ლოგო

– კომპანიის სპეციალურ ტანსაცმელზე აუცილებლად უნდა იყოს გამოსახული შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ლოგო.
– ლოგოს დატანების მეთოდი - ნაქარგები ნაჭერზე.
– ძაფი - სპეციალიზებული საქარგი აბრეშუმის ძაფები.
– საზოგადოების ლოგო განთავსებულია ქურთუკების, პალტოების, მაისურების წინა პანელის მარცხენა მხარეს და კომბინეზონის წინა ჯიბეზე.

**Логотип**

– Спецодежда Общества должна иметь логотип ООО «Батумский нефтяной терминал».
– Метод нанесения логотипа - вышивка на крое.
– Нить - специализированные вышивальные шелковые нити.
– Логотип Общества располагается с левой стороны на передней полочке курток, халатов, футболок и на переднем кармане с клапаном комбинезона.

# დანართი № 4 / Приложение №4

ზამთრის სპეციალური ტანსაცმელი საწარმოო პერსონალისთვის (მუშა)
**Зимняя специальная одежда для производственного персонала (Рабочий)**

| XS | S | M | L | XL | 2XL | 3XL | 4XL | 5XL | 6XL | 7XL | ВСЕГО |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 22 | 60 | 104 | 155 | 95 | 50 | 15 | 15 | 2 | 1 | 520 |

ზამთრის სპეციალური ტანსაცმელი სახ. ორგანოების, აუდიტის და სხვ. წარმომადგენლებისთვის / რეზერვი ადმინისტრაციული და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისთვის
**Зимняя специальная одежда для предст. Госорганов, Аудит и т. п. / резерв для административного и инжинерно-технического персонала**

| S | M | L | XL | 2XL | 3XL | 4XL | 5XL | 6XL | 7XL | ВСЕГО |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | 5 | 10 | 12 | 11 | 5 | 5 | 2 | 0 | 0 | 50 |

სპეც. ტანსაცმელი ლაბორატებისა და მედ. პერსონალისთვის
**Спецодежда лаборантов и мед. персонала**

| S | M | L | XL | 2XL | 3XL | 4XL | 5XL | 6XL | 7XL | ВСЕГО |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 2 | 7 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 28 |

ხალათი დამლაგებლებისთვის
**Халат для уборщиков**

| S | M | L | XL | 2XL | 3XL | 4XL | 5XL | 6XL | 7XL | ВСЕГО |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 |